არგუმენტაცია და სასწავლო პროცესი

ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად, ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, საჭიროა სწორი, მიზანმიმართული ლოგიკური მსჯელობა. ლოგიკური აზროვნება კი იმ საშუალებებისა და მეთოდების ცოდნას გულისხმობს, რომლითაც შეიძლება რაღაცის დასაბუთება. დასაბუთების პროცესი უკვე დარწმუნებაა.

ცხადია, მსჯელობაში, სხვათა დარწმუნებაში მთავარი არ არის მხოლოდ საუბარი ან მხოლოდ ცოდნა - განათლება. „მართალია, ცოდნა აუცილებელია ადამიანისათვის, მაგრამ ჭეშმარიტი ცოდნა და კვლევა არ გულისხმობს გონების მიერ ფიქსირებულ ფაქტთა უბრალო ჯამს, „თორემ, - როგორც ჰერაკლიტე იტყოდა, - ჰესიოდემაც ბევრი იცოდა, მაგრამ ვერ დაამტკიცა, რომ დღე და ღამე ერთია".

შესაბამისად ამისა, ლოგიკური აზროვნების უმნიშვნელოვანესი პროცესიც სწორედ არგუმენტის შექმნა, ანუ არგუმენტაციაა. იგი კომუნიკაციის პროცესია, რომელშიც ლოგიკური მსჯელობა გამოყენებულია სხვათა დარწმუნებისათვის, ხოლო არგუმენტი ის მნიშვნელოვანი ღერძია, რომელსაც მივყავართ ლოგიკურ აზროვნებამდე.

არგუმენტირებული საუბარი ხელს გვიწყობს ჩვენი სათქმელი მკაფიოდ, გარკვევით, დამარწმუნებლად ჩამოვაყალიბოთ და „ვაიძულოთ" ოპონენტები, აუდიტორია, კონცენტრაცია მოახდინონ, ყურადღებით და კარგად მოგვისმინონ და ასევე არგუმენტირებულად გვიპასუხონ. მარტივად თუ ვიტყვით - სადაც არის კარგი არგუმენტაცია - იქ უდაოდ კარგი ლოგიკაცაა და პირიქით.

არგუმენტაცია

მაშასადამე, **არგუმენტაცია - ესაა სააზროვნო პროცესი, რომლის მიზანია ზოგიერთი მოსაზრების ჭეშმარიტება - მცდარობის დამადასტურებელი ფაქტების მოყვანა, ანუ ეს პროცესი ძირითადად ეფუძნება მტკიცებულების დასაბუთებას.**

რაც შეეხება **მტკიცებულებას** - ესაა ლოგიკური ოპერაცია, გარემოება, დაფუძნებული რომელიმე ჭეშმარიტ მონაცემზე, რომელიც სხვა ჭეშმარიტ მონაცემთან კავშირში ასაბუთებს ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის არსებობას, რაიმე მოქმედების ჩადენას.

თავის მხრივ **უარყოფა** ეფუძნება მცდარ, ყალბ მონაცემს სხვა ჭეშმარიტი მონაცემების საპირისპიროდ.

მტკიცებულება და უარყოფა - ლოგიკური არგუმენტაციის საფუძველია, რადგან არგუმენტაციის თითქმის ყველა პროცესი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ხარისხით წარმოდგენილი როგორც მტკიცებულება და როგორც უარყოფა.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, არგუმენტირება, როგორც ასეთი, რამდენიმე სახეობად იყოფა: ლიტერატურულ-პუბლიცისტური, კრიტიკული, ფილოსოფიური, ისტორიული, სამეცნიერო, ბიოგრაფიული, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ა.შ. და რადგან არგუმენტაციისას ცოდნის ყველა ელემენტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ერთმანეთითაა გამოწვეული, ამიტომაა ეს ლოგიკური ოპერაცია ზოგადად მეცნიერების ყველა დარგისთვისაა დამახასიათებელი.

გამომდინარე იქედან, რომ მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა - არა მარტო აღმოჩენა და განცხადება ჭეშმარიტებისა, არამედ მისი როგორც მტკიცებულებების, ასევე საეჭვო მონაცემების, უარყოფის აღმოჩენაც და განცხადებაც, ამიტომ ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა ამ პროცესების (არგუმენტაციის) სწორად მართვა.

სასაწავლო პროცესის დანიშნულებაა მოსწავლეს მეცნიერების საფუძველების შესწავლაში დაეხმაროს, ამიტომ ამ ტიპის უნარ-ჩვევების განვითარება მათში ფრიად მნიშვნელოვანი და საჭიროა. შესაბამისად, გადავწყვიტეთ შევხებოდით არგუმენტირების სტრატეგიების გამოყენების წესებს. ისინი მათ თითქმის ყველა სასწავლო დისციპლინის უკეთ ათვისებაში დაეხმარებიან.

ჯერ კიდევ არისტოტელე (ძვ.წ. IV ს.) მიუთითებდა, რომ დარწმუნების მეთოდს მიეკუთვნებოდა წარმატებული დებატი, დისკუსია, კამათი ანუ ზოგადად რიტორიკული ხელოვნება. საუბარი რომ კარგი, საინტერესო და შინაარსიანი ყოფილიყო, ძველმა ელინებმა შემოგვთავაზეს დარწმუნებისათვის საჭირო სამი ელემენტი:

ეთოსი **პათოსი** **ლოგოსი**

ეს წესები დღესაც აქტიურად გამოიყენება.

დარწმუნებისთვის საჭირო მეთოდების ძირითადი კომპონენტები:

- **ეთოსი:** კორექტულობა, ტოლერანტობა, პატივისცემა, ობიექტურობა, პატიოსნება, კეთილგანწყობა, კარგი კომუნიკაცია, ტოლერანტობა, ანუ, ზოგადად, **ეთიკურობა**;
- **პათოსი**: იუმორის გრძნობა, ღიმილი, ჟესტიკულაცია, მანერა, ხმა, ჩაცმის სტილი, თვალის კონტაქტი, ემოცია, ანუ ის, რაც საბოლოოდ ჩვენს საუბარს **პათეტიკურსა და სასიამოვნოს** ხდის;
- **ლოგოსი** უმთავრესი კომპონენტია, რომელშიც მოიაზრება: კრიტიკული აზროვნება, სწრაფი რეაქცია, კონცენტრაცია, ორგანიზებულობა, ანალიზის უნარი, სისხარტე, მიზნობრიობა, მეხსიერება და, რაც ყველაზე მთავარია, **არგუმენტაცია**, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს ყოველივე ჩამოთვლილს.

თავისთავად **არგუმენტი,** როგორც ასეთი, **ლოგიკურად გაბმული მთელი სტრუქტურული ჯაჭვია.** იგი გასაგები, მკაფიო და ნათელია.

არგუმენტირების სტრუქტურა

მტკიცება და უარყოფა, არგუმენტირებული პროცესის ლოგიკური ოპერაცია, მოიცავს სამ ელემენტს: **თეზისს, არგუმენტებს და დემონსტრაციას.** განვიხილოთ ისინი:

თეზისი (იგივე დებულება) - ესაა იმ ჭეშმარიტების ანდა მცდარობის შესახებ მსჯელობა, დასკვნა, რომლის დასაბუთებაც ხდება. თეზისის როლში შეიძლება გამოვიდეს სხვადასხვა სამეცნიერო მონაცემები, მაგალითად, მათემატიკაში - თეორემა, ემპირიულ კვლევებში კონკრეტული მონაცემების განზოგადება, ისტორიული და საზოგადოებრივი მოვლენების მახასიათებლები, მედიცინაში - დიაგნოზი, იურიდიულ პრაქტიკაში - ფაქტები და გარემოებები, დანაშაულის მოტივები, ზარალის ხასიათი და ზომა და ა.შ.

არგუმენტები (მტკიცება, შედეგები) - ესაა მსჯელობა, დასკვნა, რომლის საშუალებითაც ხდება თეზისის ჩამოყალიბება, ანუ აქედან გამომდინარეობს თეზისის ჭეშმარიტება და მცდარობა.

არგუმენტად შეიძლება შეგვხვდეს: ფაქტები, განსაზღვრება, აქსიომა, პოსტულატები, ადრე ნაჩვენები სიტუაცია (თეორემა, კანონები), ადრე დადასტურებული დებულებებიც (მაგ., მეცნიერების კანონები). ძირითადად არგუმენტაცია მაინც დაფუძნებულია ფაქტებზე - რომელთა ჭეშმარიტებაში საეჭვო არაფერია, რადგან, როგორც ამბობენ, „ფაქტი ჯიუტია“ (ტერმინი „იურიდიული ფაქტი“ ძირითადად სამართალწარმოებაში გამოიყენება, რომელიც კონკრეტულ ქმედებებზე და მის მიმართ წარმოშობილ პასუხისმგებლობებზეა დამოკიდებული).

დემონსტრაცია - გულისხმობს ლოგიკურ კავშირებს თეზისსა და არგუმენტს შორის. ლოგიკური გადასვლა არგუმენტიდან თეზისზე ხორციელდება დასკვნების გზით. ის შეიძლება იყოს არა ერთი, არამედ გარკვეული სისტემით დალაგებული დასკვნების მთელი წყება, რომელთა შორის უკანასკნელი (ბოლო შედეგი) არის **თეზისი.** მის გზავნილებად კი განიხილებიან მოსაზრებები, რომლებშიც გამოხატულია ინფორმაცია არგუმენტებზე. ანუ **დემონსტრირება ნიშნავს თეზისის, როგორც მიღებული არგუმენტების საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნების, წარმოდგენას.**

იმ დასკვნებს შორის, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს თეზისში, გამოყოფენ განსაკუთრებულად ღირებულ ძირითად დასკვნას, რომელიც წარმოადგენს კიდეც საბოლოო შედეგს, რომელიც ფორმულირებული იყო საწყის ეტაპზევე და რომლის დადასტურებასაც ეხებოდა მთელი შესრულებული სამუშაო.

თუ დემონსტრაცია ხორციელდება დედუქციური ფორმით ანდა სრული ინდუქციით და ანალოგიის მკაცრი დაცვით, მტკიცებისა და უარყოფის საიმედოობა მთლიანად დამოკიდებულია თეზისის ჭეშმარიტებასა და მცდარობაზე; ხოლო იმ შემთხვევაში, **თუ დასკვნები მიღებულია არასრული ინდუქციით,** შედეგად ვიღებთ მეტნაკლებად დამაჯერებელ (და არა სარწმუნო) შედეგებს.

როგორც ვხედავთ, *არგუმენტირებაში იგულისხმება:*

1. არგუმენტების მოყვანის პროცედურა რაიმე სახის მდგომარეობის სასარგებლოდ; 2. თავად ასეთი არგუმენტების ერთიანობა;

3. რაიმე დასკვნის ჭეშმარიტების დასაბუთება ამა თუ იმ ხარისხით;

ხოლო *არგუმენტაციისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:*

- ✓ არგუმენტაცია ყოველთვის გადმოცემულია გასაგები ენით, აქვს წერილობითი ანდა ზეპირი დასაბუთების ხასიათი;
- ✓ არგუმენტაცია მიზანმიმართული მოღვაწეობაა, რამდენადაც მის მიზანს წარმოადგენს - დარწმუნება;
- ✓ არგუმენტაცია - ეს სოციალური საქმიანობაა, რამდენადაც მიმართულია ადამიანზე, გულისხმობს დიალოგს და მოყვანილი დასკვნების საფუძველზე მოწინააღმდეგე მხარის აქტიურ რეაქციას;
- ✓ არგუმენტაცია გულისხმობს გულისხმიერებას მათი მხრიდან, ვინც მას მიიღებს, მათ შესაძლებლობებს, რაციონალურად აწონოს არგუმენტები, მიიღოს ისინი ანდა უარყოს.

რაც შეეხება თავად *არგუმენტაციის პროცესს, იგი მოიცავს მთავარ მოქმედ პირს: არგუმენტატორს ანუ მას, რომელიც ახორციელებს არგუმენტაციას და რეციპიენტს ანუ ადრესატს, მიმღებს.*

არგუმენტაცია მიეკუთვნება ადამიანზე ზემოქმედების ჰუმანურ საშუალებას. ადრესატს აქვს თავისუფალი ნება - მას შეუძლია მიიღოს არგუმენტი, ანდა უარყოს იგი. არგუმენტაციისას ადრესატი არ წარმოადგენს მკაცრი ზემოქმედების ობიექტს. მთელი ამ მოღვაწეობის მიზანია, ადრესატმა მიიღოს არგუმენტატორის მიერ წამოყენებული თეზისი.

მაგრამ არსებობს მსჯელობის დროს ნებსით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები, რომელთა მიზანია შეცდომაში შეგვიყვანოს. ყველა დიდი მოაზროვნე, დაწყებული არისტოტელედან, სწავლობდა მსჯელობის დროს დაშვებულ შეცდომებს. მაგრამ იბადება კითხვა - თუ ეს შეცდომებია, რატომ არის საჭირო მისი ცოდნა? მასზე ყურადღების გამახვილება? პასუხიც მარტივია - ეს ლოგიკური შეცდომები გვეხმარება უფრო მეტად დავფიქრდეთ არგუმენტაციაზე, შევძლოთ არა მარტო ოპონენტების სისუსტეების დანახვა და გააზრება, არამედ საკუთარი შეცდომების აღიარება და გამოსწორებაც. ისინი არგუმენტების გამოსწორების შანსს გვაძლევენ.

ზოგადად არგუმენტის შედგენის არაერთი ხერხი და მეთოდი არსებობს. მათ შორის გამოიკვეთება არგუმენტის ჩამოყალიბების ის გზები და სტრატეგიები, რომელიც თანამედროვეობაში ყველაზე გავრცელებულია და **ტულმინის არგუმენტაციის მოდელის** სახელითაა ცნობილი (ბრიტანელი ფილოსოფოსი სტეფან ტულმინმა XX საუკუნის 50-იან წლებში განავითარა მოდელი, რომელიც არისტოტელეს პრინციპის წააგავდა, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისგან).

დედუქციური /ინდუქციური არგუმენტაცია და

ტულმინის არგუმენტირების მოდელი

დედუქცია და ინდუქცია ლოგიკური აზროვნების ქვაკუთხედია. დედუქცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „გამოყვანას“. დედუქციური ლოგიკა კი არის ზოგადი მსჯელობიდან კერძო მსჯელობის გამოყვანა, სილოგიზმი კი დედუქციური დასკვნაა (სილოგიზმის ძირითადი პრინციპის მიხედვით, „როცა რაიმე ითქმის სხვაზე, როგორც ქვემდებარეზე, მაშინ ყოველივე, რაც ითქმის შემასმენელზე, ითქმის ქვემდებარეზეც”).

დედუქციური მსჯელობა ასეთი სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

1. **ზოგადი აზრი; 2. კონკრეტული მაგალითი; 3. კონკრეტული დასკვნა**

მაგალითად, **ქრისტიანული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ყველა ისტორიული პროცესი დასრულებადია.** გამომდინარე აქედან, o ყველა ისტორიული პროცესი დასრულებადია o რევოლუცია ისტორიული პროცესია o რევოლუცია დასრულებადია

დედუქციურ არგუმენტში:

- პირდაპირ ვიწყებთ საუბარს ზოგად საკითხზე, რომელიც საკამათოა და პირდაპირ და მკვეთრად წარმოვაჩენთ ჩვენს პოზიციას დასაწყისშივე;

- შემდეგ ვასაბუთებთ კონკრეტული მაგალითით, ანუ ვპასუხობთ კითხვაზე - რატომ გვაქვს ჩვენ ასეთი პოზიცია;

- მსჯელობის ბოლოს კი ვაჯამებთ ზემოთქმულს, ანუ ვადასტურებთ ყოველივე მოსაზრებას, რაც გამოითქვა.

ინდუქცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მინიშნებას“, კერძო მსჯელობიდან ზოგადის გამოყვანას. ინდუქციურ მსჯელობას ასეთი ფორმა აქვს:

1. **კონკრეტული მაგალითი; 2. კონკრეტული აზრი (აზრები); 3. ზოგადი დასკვნა**

მაგალითად,



ტულმინის მიხედვით კი სილოგისტური დასკვნა სინამდვილეში უნდა იყოს მსჯელობის დასაწყისი და არა დასასრული, ანუ ის მთავარი აზრი, რომელიც საჭიროებს განვითარებას და დასაბუთებას, რათა შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ ვთქვათ და ბოლოს დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, ბოლოს ვთქვათ ჩვენი მთავარი სათქმელი, რაც წარმოადგენს ჩვენს ფასეულობას, პრინციპს, რომელიც უდაოდ ხაზგასასმელია და ოპონენტათვის საკამათოც.

გამომდინარე აქედან, **მთავარი სათქმელი, რაც სურს მოკამათეს რომ დაასაბუთოს, არის ლოგიკურ კავშირი, რომელიც გამომდინარეობს მსჯელობიდან**; რადგან იგია

სწორედ მთავარი პრინციპი და პოზიცია, რასაც ასაბუთებს ოპონენტი, თორემ ის, რომ მთავარი აზრი ყველასათვის ფასეულია და არ უნდა საჭიროებდეს კამათს, ყველასათვის ნათელია და უდაოა.

ტულმინის მოდელის მიხედვით არგუმენტის შედგენისას გასათვალისწინებელია სამი ძირითადი კომპონენტი:

- აზრი - პირობა, რომელიც საჭიროებს განმტკიცებას;
- დამამტკიცებელი წინადადება - რომელიც განამტკიცებს აზრს ფაქტით ან მსჯელობით;
- დასკვნა - ლოგიკური კავშირი, გამომდინარე ორივე წინადადებიდან.



განვიხილოთ მარტივი სილოგიზმის მაგალითი



პირველ ორ წინადადებას შორის კავშირი გასაგებია, რადგან, სადაც ომია, იქ შეიძლება ბომბების აფეთქების ხმაც იყოს, მაგრამ დასკვნა, რომელიც გაკეთდა (სადაც ომია, იქ ბომბების აფეთქების ხმაცაა), არასწორია. რატომ? მართალია, ომი ხშირად ასოცირდება ბომბებთან, მაგრამ ბომბის ხმა ყოველთვის არ არის ომის მიზეზი, ის შეიძლება იყოს ჩვეულებრივი სამხედრო წვრთნის, ან სხვა მიზეზით გამოწვეული.

მაშასადამე, ეს მსჯელობა არასწორია. სწორედ ამას უსვამს ტულმინი ხაზს, და ამბობს, რომ დედუქციურ და ინდუქციურ მსჯელობაში მართალია დაცულია გამომდინარეობის პრინციპი, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დასკვნები არასწორია.

მოვიყვანოთ ***არგუმენტის მაგალითი*** ტულმინის მოდელით:



ამ მაგალითში აშკარაა კავშირი პირველ და მეორე წინადადებებს შორის, რომლებსაც აერთიანებთ ერთი აზრი: „მონობა მორალურად გაუმართლებელია“.

პირველი წინადადება არის აზრი, რომელიც ითხოვს დამტკიცებას, გამყარებას ანუ პასუხს კითხვაზე თუ რატომ ვფიქრობთ ასე?

მეორე წინადადება სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს, ამტკიცებს, ამყარებს პირველ წინადადებას: „რადგან ადამიანები, რომლებიც მონებად აქციეს და თავისუფლება წაართვეს, არც საკუთარი შრომის შედეგებით არ არიან დაინტერესებულები“ - ეს დამამტკიცებელი წინადადებაა.

ლოგიკური დასკვნა კი - „მონობა მორალურად გაუმართლებელია“ - გამომდინარეობს ორივე წინადადებიდან და საკმაოდ ძლიერია.

განვიხილოთ კიდევ ერთი, შინაარსობრივად განსხვავებული მაგალითი:



ლოგიკური კავშირიდან გამომდინარე დასკვნა, ფასეულობა, მთავარი პრინციპი

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, არგუმენტი ამ სამი მთავარი ელემენტისაგან შედგება და რაც უფრო მტკიცეა კავშირი მათ შორის, მით უფრო ძლიერია ლოგიკა და, მთლიანობაში, პოზიცია.

არგუმენტირებაში გამოყოფენ ასევე **დამოუკიდებელი არგუმენტის** მნიშვნელობასაც, რადგან იგი ორი არგუმენტისგან შედგება და მისი გაბათილება, უარყოფის საშიშროება შედარებით ნაკლებია, რადგან ერთი არგუმენტის უარყოფის შემთხვევაში მეორე არგუმენტიც საკმარისია მსჯელობის გაგრძელებისათვის. აქედან მომდინარეობს მისი სახელიც - დამოუკიდებელი არგუმენტი. მაგრამ მასზე გაცილებით ხშირად გვხვდება ე.წ. რთული არგუმენტირება.

ამ მოდელის (ტულმინის) მიხედვით შესაძლო **რთულ არგუმენტს** შეიძლება ასეთი სტრუქტურა ჰქონდეს:



ამ სტრუქტურაში აზრი და დამტკიცება გადანაცვლებულია, რაც მიუთითებს, რომ ადგილების შენაცვლება არგუმენტის სტრუქტურულ ჯაჭვს არ არღვევს.

როგორც ვხედავთ, არგუმენტირებისას მასწავლებელიც და მოსწავლეებიც გაცილებით დაინტერესებული არიან ურთიერთთანამშრომლობით. არგუმენტაციის წესების დაცვა-გამოყენება მოსწავლეთა მსჯელობას დამაჯერებელს და საწრმუნოს ხდის. მათი ცოდნაც, შესაბამისად ამისა, ღრმა და მტკიცეა, სწავლის შედეგი კი - ეფექტური.